საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 62

31 01 2017 წ.

ქ. თბილისი

პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 30 იანვრის №76816 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ” და „ნ” ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 31 იანვრიდან 2017 წლის 05 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) უმაღლესი განათლების სპეციფიკის ცოდნა ან უმაღლესი განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, (უპირატესობა მიენიჭება პირებს, რომელთაც აქვთ როგორც აკადემიური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, ისე საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვაში მონაწილეობის გამოცდილება);

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა).

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს განათლების სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებს (და მარეგულირებელ დოკუმენტაციას), რომლებშიც ჩართულია საქართველო.

1.1. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მუშაობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

ბ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზება, განსახილველი დოკუმენტების გასაჯაროობის უზრუნველყოფა;

გ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების წევრებთან კომუნიკაცია, მათ მიერ გაწეული სამუშაოს აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი;

დ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების სხდომების ორგანიზება და საოქმო უზრუნველყოფა, საბჭოების შემადგენლობის შეფასების/შეცვლის/განახლების პროცესის კოორდინაცია;

ე) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტირების პროცესის უზრუნველყოფა;

ვ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების სამუშაო ჯგუფების ფორმირების და მათი მუშაობის კოორდინაცია;

1.2. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.3. კონკურსის შედეგად, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1600 ლარის ოდენობით.

1.4. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

გ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

ე) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 01 სექტემბრის №716 ბრძანება - უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

1.5. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) დაგეგმვისა და კოორდინაციის;

ბ) სწრაფი რეაგირების;

გ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

ე) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

ვ) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის;

ზ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

თ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

1.6. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

1.8.კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე